„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში; გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. [illegible] ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

**„დროების“ ფასი ივნისის პირველიდამ წლის დამლევამდე 6 მანათი; სოფლის მასწავლებელთათვის 4 მანათი და 50 კაპ.**

ალექსანდრე ნიკოლოზის-ძის ონიკოვის გარდაცვალების მე-40 დღეს, ივნისის 2-ს დიდუბის წმ. გიორგის ეკლესიაში, მუშტაიდის იქით, გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის ათ საათზედ. ბარბარე სოლომონის ასული ნაკაშიძისა და მიცვალებულის ძმისწულნი გ. და კ. სოლომონის-ძენი ონიკოვები, აუწყებენ რა ამას ნათესავთა და ნაცნობთა,—სთხოვენ მობძანდენ მიცვალებულის სახელის მოსახსენებლად. (1—1)

## შინაური ქრონიკა

⊙⊙⊙ იონა მეუნარგია შესდგომია თ. გრიგოლ ორბელიანის ქაღალდების გასინჯვას და, როგორც გადმოგვცეს, ბევრი რამ საყურადღებო უპოვია ამ ქაღალდებში, როგორც ლიტერატურისა, ისე ჩვენის ქვეყნის უკანასკნელი ხანების ისტორიისათვის. სხვათა შორის ბ. მეუნარგიას უნახავს ორი წერილი ნიკ. ბარათაშვილისა გრიგოლ ორბელიანთან მიწერილი. მისის ბიოგრაფიისათვის საყურადღებოს, ამ ორსავე წერილს დღესა ვბეჭდავთ ჩვენს გაზეთში.

⊙⊙⊙ გუშინ წინ მაისის 30 მოხდა წლიური კრება სამეურნეო საზოგადოებისა თავადის დონდუკოვ-კორსაკოვის თავს-მჯდომარეობით.

პირველად ბ. გეევსკიმ წაიკითხა წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა და ამ ანგარიშს ამ დღეებში გავაცნობთ მკითხველებს. შემდეგ ანგარიშის წაკითხვისა ინჟენერ-პოლკოვნიკმა ვეის-ფონ-ვეისენგოფმა წაიკითხა თავისი გამოკვლევა შესახებ ეგვიპტის ირიგაციისა. ეგვიპტეში უწყლოდ არა მოდის რა და ამისათვის მთელი ეგვიპტის მცხოვრებელნი 5 მილიონზე მეტი შეჯგუფულნი არიან მდინარე ნილოსის ორსავე ნაპირებზედ; აქ ისინი ისე ხშირად მოსახლეობენ, რომ ინგლის-ბელგიაში და სხვა ხშირად დასახლებულ ქვეყნებშიც არ არის ისეთი ვიწროობა, როგორც ნილოსის ნაპირებზეო; ამ მიზეზით ეგვიპტელების ყურადღება იმ თავით ამ თავამდე მიქცეულია ნილოსის წყლით სარგებლობასა და მოხმარებაზედ. ნილოსის ველი მთლად აჭრელებულია მრავალის არხებით; ეგვიპტელნი ყოველთვის ცდილობდენ, რომ გაეუმჯობესებინათ ეს საქმე; ბევრს შრომასა და ხარჯს ალევდენ მას, მაგრამ მაინც ეს საქმე ისე ვერ არის დაყენებული, როგორც რიგიაო. ნილოსი თან-და-თან დაბლდება და ეხლა ისე დადაბლდა, რომ არხებში მოსული წყალი ველარ ადის და ვერა რწყავს თავის თავად ნათესებსაო მაგ, ისე როგორც საქართველოშია; ყოველს წელს 150,000-მდე კაცი დგას ამ არხებზედ და სხვა-და-სხვა საშუალებით იღებენ ამ წყალს და ისე რწყავენ ნათესებსო. რაკი ინგლისელები მოსულან იქ, ამათაც მაშინვე თავიანთი ყურადღება მიუქცევიათ ამ საქმისათვის; დაუხარჯავთ დიდ ძალი ფული ამ საგნის შესწავლაზედ, გამოკვლევაზედ და ეხლაც აპირობენ ხუთი მილიონი გირვანქა სტერლინგის დახარჯვას არხების გაუმჯობესობაზედ; იმათ უნდათ აამაღლონ წყალი არხებში ისე, რომ მას აღარ უნდოდეს ძალად ამოღება, თავის თავად რწყავდეს ნათესებს და ის 150,000 კაცი გაანთავისუფლონ ამ უსარგებლო, დაუსრულებელ შრომისაგან და დააყენონ სხვა უფრო სასარგებლო საქმეზედ. საზოგადოებას მოეწონა ძალიან ლექტორის საფუძვლიანი გამოკვლევა.

ამის შემდეგ მისი ბრწყინვალება წაბძანდა შინ და მის მაგივრად თავს-მჯდომარეობდა ვიცე-პრეზიდენტი გ. ხატისოვი. ბ-ნმა ხატისოვმა წაიკითხა წერილი ხელ-მოწერილი 26 კახელი მებატონისაგან შემდეგი შინაარსისა. ს.-პეტერბურგში ერთს ვილაცა გოძიევს გაუღია სარდაფი, სადაც საძაგელს ღვინოებსა ჰყიდის კახური ღვინოების სახელობითაო, და აცხადებს პრეისკურანტში, ვითომც იგი პირ-და-პირ კახელი მებატონეებისაგან იღებდეს ღვინოებსაო. რადგან ეს გარემოება სახელს უფუჭებს კახურს ღვინოსა, ამისათვის ვსთხოვთ სამეურნეო საზოგადოებას, რომ მან მიიღოს ზომანი, ამისთანა ბოროტ-მოქმედების წინაამდეგ რათა სხვა მაც არ ჩაიდინოს მაგისთანა საქმეო. საზოგადოებამ გადაწყვიტა; გავუგზავნოთ პეტერბურგის ქალაქის უფროსს (**градоначальникъ**) თხოვნა, რომ მან მოსთხოვოს გოძიევს პასუხი და აახსნევინოს მას თავისი ფირმა.

მერე წაკითხულ იქმნა ყირიმის მეღვინე ბ. სსლომანის წერილი შესახებ კახური ღვინოებისა. თ. ზ. ა. ჯორჯაძეს გაეგზავნა ბ. სალომანისათვის სხვა-და-სხვა კახური ღვინოები და ეთხოვა იმისთვის, რომ მას მოეხდინა ქიმიური ანალიზი ამ ღვინოებისა. ბ. სალომანსაც აესრულებინა ეს თხოვნა: საზოგადოდ ბ. სალომანი აქებს გასინჯულ ღვინოებს; წითელ ღვინოებში ამჯობინებს სოფ. ვაჩნაძიანის, თ. ჯანდიერის ღვინოს და თეთრებში სოფ. ბაკურციხის თ. ვაჩნაძის ღვინოსა; საზოგადოებამ გადასწყვიტა, რომ კიდევ გავუგზავნოთ ვისმე, მაგ. პროფესორს მელიქიშვილს გასასინჯად ღვინოებიო.

ამის შემდეგ წაიკითხეს წერილი აგრონომის შიმანოვსკისა შესახებ თუთის ხის ფურცლის ავადმყოფობისა

---

## ორი წერილი

## ნიკ. ბარათაშვილისა

ტფილისი. გარეთუბანი, 1837-სა წელსა თებერვლის....

საყვარელო ძიავ!

ვთხოვთ მომიტევოთ ესდენს ხანს ჩემგან მოუწერელობა; ეს გარემოების ბრალია: ხან არ ვიცოდი ადგილი, თუ სად იმყოფებოდით, ხან საქმეებში გავერთოდი სამსახურისაგამო (**я чиновникъ экспедиціи суда и расправы**) დ ამაობაში ორშაბათი გამომეპარებოდა ხოლმე, როდესაც მანდაური ფოშტა მოდის. ასე, ძიავ, ვიცი მომიტევებ.

აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე დ ვიმყოფები სუდაირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ დ ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ არც პანსიონში ყოფნის დროს, **когда будущность моя представлялась мнѣ въ радужныхъ мечтаніяхъ**, დ არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ დ ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხოლმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო დ თუ არ ინვალიდის კომანდაში სხვაგან არ მიგიღებენო, მაშინ, როდესაც ფეხი უკედ მქონდა დ კარგადაც მაქვს ასე, რომ ჩვეულებრად კიდეც ვჰხტი დ კიდეც ვტანცაობ. მაგრამ, რადგანც შევიტყე უარი მათი დ მით უამოვნობა, ვჰსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უზედურებისაგამო, მამაც ამ დროს ავად შეიქნა დ ავადმყოფი, ჩემს თხოვნაზე, ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება მე ველარც კი გავაწყო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამ შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვჰსწესდი სამსახურში დ დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხოლმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი დ ან ჩემი სურვილის აღსრულება? რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ეკსპედიციაზე კარგს ადგილს ვერ ვიპოვნიდი. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყრმაწვილის კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი შკოლაა; ეს არის რომ **кругъ чиновниковъ не выгоденъ для образованія нравственности**, მაგრამ ეს თავიზედ არის დამოკიდებული.

ამისთვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს! მე თვისება სხვსაც მეჯავრება. ჭეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვჰქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას... მახლას!...

ამ წარსულს ზაფხულში, ერთს მშვენიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმან მშვენებამ, საცრფლო მარაქამ, მათმან უწინდელებრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატკბეს სახედველი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება! კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერწმუნენით, თქვენ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა: „განცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს“ დ მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ღამეს უთუოდ აღვწერ დ გაუგზავნი ძია გრიგოლის მეთქი, დ კიდეც აღვასრულე; მით უფრო ჩქარად რომ ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კაეშანი.

შენი არს ყაბახი, ძიავ, შენ გიყვარს იგი, დ ამისთვს მასზედ წარმოებული შემთხვევაც შენ მოგეძღვნის; — აი:

შიავ, ყაბახი, საშობლო შენი,
წაგართო ავის ენისა გესლმან;
სატრფონი მისნი შემოგარენი
გარდახვეწილსა დაგიშთო ეტლმან!

ბაქოს გუბერნიის ზოგიერთა მაზრებში; ამ სატკივარს თათრულად „ჭუმუგელ“ ჰქვიანო. თუთის ხეების ფურცლებს უხმებათ ძარღვები და ხეცა ხმებაო; მიზეზი ამ ავადმყოფობისა ჯერ გამოკვლეული არ არის; ჯერ ისიც არ იციან,—რაიმე მწერის ბრალია ესა, თუ თითონ ნიადაგისა, საცა ხე იზრდება; საზოგადოებამ გადასწყვიტა: მთავრობასა ვსთხოვოთ რომ მან ერთი სპეციალისტი გაგზავნოს ამ სატკივრის შესასწავლად, გამოსაკვლევადაო.

დასასრულს კრებამ ამოირჩია საზოგადოების რჩევის წევრად ბ. დ. ზ. ჭოროლანოვი ნაცვლად რიგით გასულის წევრის აგრონომის ზეევსკისა.

„კავკაზს“ შეუტყვია, რომ დირექტორად ახალი სავაჟო პროგიმნაზიისა, რომელიც გაიხსნება ქ. თბილისში ივლისის 1-დამ, დაუნიშნავთ მასწავლებელი აქაური პირველი სავაჟო გიმნაზიისა ვ. ა. მარტინოვსკი.

იმავე გაზეთში სწერია, რომ ყაზახის მაზრაში სოფ. სალაჴლოში ყაჩაღებს გაუტეხნიათ ერთი დუქანი; ხალხი ამ ბოროტ-მოქმედებას აბრალებს გათქმულს ყაჩაღს ქერიმ-ისკანდერ-რამაზან ოღლის.

„მოსკ. უწყებებში“ სწერია, რომ კავკასიაში, ლაზგიდამში აღმოუჩენიათ დიდი მადანი გლაუბერის მარილისა (შაბმარილა) და აპირობენ მის შემუშავებას. ამასთანავე გადაუწყვეტიათ, ქარხნის გახსნა ბაქოში, საცა გლაუბერის მარილი უნდა გადაკეთდეს მწვავე კალა-ქვად (ѣдкій калій), რომელსაც ხმარობენ ნავთის გაწმენდის დროს. აქამდის ამისათვის ინგლისიდამ მოჰქონდათ გლაუბერის მარილი.

„ოდესის ფურცელში“ შემდეგი ცნობანია შესახებ გენერალ ლემსდენის მოგზაურობისა: ბათუმში რომ მოსულა ბ. ლემსდენი, ვოგზალზედ დახვედრია ადგილობრივი პოლიცმეისტერი და უკითხავს მისთვის, ხომ არა გნებავთ-რაო. ლემსდენს მადლობა ეთქვა პოლიცმეისტერისათვის და გაჰყოლოდა სასტუმროში ბათუმელ ინგლისის კონსულს, რომელიც დახვედროდა ეგრეთვე ვოგზალზედ. პირველად ფიქრობდნენ, რომ ლემსდენი რუსის გემით „ცესარევნათი“ წავიდოდა სებასტოპოლში, მაგრამ ლემსდენმა გაიგო, რომ მეორე დღეს ბათუმიდამ მიდიოდა სტამბოლში ერთი ფრანცუზის გემი, და მოურიგდა ამ გემის კაპიტანს, რომ მას ლემსდენი მიეყვანა ვარნამდე, საიდამაც კურიერის მატარებლით იგი ბერლინში წავიდოდა. ლემსდენმა მისცა კაპიტანს ქირა 12,000 ფრანკი.

## „დროების“ კორესპონდენცია.

**ვარძია,** მაისს 25-ს. ვარძიის მონასტერი აშენებულია მეფე გიორგი III-სა და გადიდებული მისის ასულის თამარ მეფისგან. შესანიშნავია სიდიდე ეკლესიისა, რომელიც ფრიალო კლდეშია გამოკვეთილი და ძველი ბიზანტიური მხატრობა. ეკლესიის მარცხენა კედელზე გამოხატულია: მეფე გიორგი III და ასული მისი თამარ მეფე იმ სახით, როგორც ჩვეულებრივ მათ ჰხატავენ.

ამავე მხრით კედლის განყოფილებაში არის ერთი პატარა ძველი ეკლესია. ამ ეკლესიის შუა ალაგზე ამოკვეთილია ორი სასაფლაო ერთი ერთმანეთის გვერდით და მიწით ამოვსებული.

ჯავახეთის მოხუცნი მათთა წინაპართა გადმოცემით მოგვითხრობენ, რომ ამ პატარა ეკლესიაში უნდა იყვნენ დასაფლავებულნი: გიორგი და ასული მისი თამარ მეფე... (დღესაც ხომ არა ვინ იცის ნამდვილად სად არიან დასაფლავებულნი).

ჯავახეთელების აზრს ზოგიერთი საფუძველი აქვს: ა) გიორგის განსაკუთრებით ყურადღება მიქცეული ჰქონდა თავის სადგომის ვარძიის გამშვენიერებაზე; ბ) ეს პატარა ეკლესია, შიგნით ეკლესიაშივე, მეფეთა სურათისკენ, ამტკიცებს, რომ ორი ვინმე დიდი პირი უნდა იყოს დასაფლავებული; გ) გიორგის ეს ადგილი უყვარდა, მისი სამყოფიც აქ იყო და უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგ გარდაცვალებისა, აქ დაასაფლავებდენ. ესეც ყველასთვის ცხადია, რომ მამის საყვარელს ადგილს და სასაფლაოს შვილი არ ჰკარგავს ხოლმე. ძველს დროში ამ ჩვეულებას უფრო პატივსაცა სცემდენ და შვილი მამის აკლდამაში იმარხებოდა.

ერთს ადგილას ამდენი ნაშრომ-ნალვაწი, როგორც ვარძიაა, არსად უნდა იყოს სრულიად საქართველოში. აქ ყოფილა სადგური მოღვაწეთა. დღესაც სამყოფია სენაკები და ამ სენაკებში ათასი კაცი მეტი მოთავსდება. ყოველი სენაკის გამოკვეთილი თითო ორს-სამს ბარეჯის გამოკვეთილს უდრის.

ის არის კიდევ უფრო შესანიშნავი, რომ სამი ვერსის სიგრძეზე გამოუკვეთნიათ კლდე, როგორც ფარული გზა, ამ გზაზედ გაუკეთებიათ მილები, რომლითაც წყარო მომდინარებდა ხოლმე. ეს მილი მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთისკენ და შუა ალაგას ჩაუვლის დიდს გამოკვეთილს, ესრედ წოდებულ „თამარ მეფის დივან-ხანას“. მერმე გაივლის იმ დროის საბალე და სავენახე ადგილებს და ჩაერთვის მდინარე არტაგანს. როდესაც 1604 წ. ეს მხარე—საათაბაგო თათრებმა დაიპყრეს, მაშინ გავერანდა ეს მონასტერიც და სხვა ჩვენი ეკლესიებიც. მაგრამ ხალხს მაინც არ დაუკარგავს უწინდელი სასოება და სიყვარული ამ ტაძრისადმი. ქართველი, ბერძენი, სომეხი და, თითქმის თათარიც (ძველი ქართველები ორჯონიკიძე, ვაჩნაძე, ხაჯაძე და სხვ.) მოდიან და აქ დღესასწაულობენ ყოველ წელს მარიამობას.

რადგან მეცნიერი მოგზაური ადვილად ვერ მოხვდება ამ ალაგებს, ამიტომ დიდებულ ვარძიაზე დღესაც არ არის მიქცეული ის ყურადღება, რაც მისი მნიშვნელობის შესაფერია.

## წერილები რედაქტორთან

### I

უბოძეთ ადგილი ამ განმარტებას თქვენს პატივცემულ გაზეთში. რამდენჯერმე მომმართეს ამ ნაირი კითხვით: ნუ თუ შესაძლებელია რომელიმე სასწავლებლის სარჩენად დანიშნულის 5,000 მანათიდან წლის ბოლოს გადარჩეს 3,000 მანათზედ მეტი, თუნდაც მართლა გამოცდილებით იხარჯებოდეს ეს ფული, როგორც მოგვითხრობსო „მწყემსის“ (1885 წ. № 1) ახალი-სენაკის სასულიერო სასწავლებელზედ. მაგრამ მე აქამდის თვითონაც არ ვიცოდი დაწვრილებით ანგარიში, თუმცა კი შეუძლებლად მიმაჩნდა. მართლაც წლიურ „სმეტაში“ ჩვეულებისამებრ დაწვრილებით არის ხოლმე ყოველივე გამოანგარიშებული, და თუ „სმეტაში“ შეტანილი ფულიდან ამდენი დარჩენილიყო „ამ ხანში“, ე. ი. ერთ წელიწადში და თან სასწავლებელიც წესზედ მიდიოდა, მაშინ ან „სმეტა“ უნდა ყოფილიყო ერთობ დიდი ხარჯთან შედარებით, ან ამ ხანში რაიმე მოულოდნელი შემოსავალი უნდა ჰქონიყო სასწავლებელს. ეხლა, როდესაც ამ სასწავლებელმა ანგარიში დაბეჭდა („მწყემსის“ № 8), მე შემიძლიან ავხსნა კითხვა, რადგან კრებაზე, ეტყობა, ნამდვილ ვერ გაუგიათ საქმე.

---

მაგრამ გაჩნს კიდეც გულში მის არე;
გიყუარს ყაბახის კარგიც და ავი,
თუმც უცხო და შორს თემად იარე,
მრავალი კარგი ჰნახე ამბავი.

მაგრამ რას ჰხედავ აწ კრული ჩრდილოს?.
აჰა ის ღამე, ოდეს სატრფონი
ალამაზებდენ შენს ყაბახს ამოს,
შენის სიურმისა თანზრდილნი ჰსწორნი!

### ღამე ყაბახზედ.

მიყუარს, ყაბახო, მყუდროება ღამისა შენის
თალხად ბნელისა მაისის დროს წყნარის და ტფილის;
ზეჯერ მინახავს სახე შენი შუქნიერებით—
მქუხლის ახალთან, ახლის მქუხლთან შენობაებით;
მაგრამ უმეტეს მიყვარს ღამე, როს მთვარე შუქით
მოჰფენს შენს არეს, თვით ბუნებით სავსეს სიამით,
და მომდინარე მჩქეფლებითა ხუვილით მტკვარი
ზვირთთა აღატყუელს შორით სმენად დასამტკბობარი!

ამ გუარი იყო ის ღამეცა, ოდესცა გარე
ფიქრით მოცულმან ჩუეულებრივ ყაბახს ვიარე,
სადაცა მწყობრად დარაზმულნი აქა-იქ ქალნი,
პირად-პირადად სეირნობდენ კეკლუც მოსილნი,
და მათ გარემო შეჰფრფინვიდენ ყრმაწვილნი კაცნი,
ზოგნი დამშნილნი, ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი.
თვითონ ცის მთვარეც მოწიწებით ღრუბელთ ეფარა,
რომ ქუეყნის მთვარეთ შეეტრფოდენ და მას კი არა!—

„ჰსთქუ რამე“ იტყვიან, „ყაფლან, ყაფლან“, ზოგნი ქალები,
„თუნდ თავსა უფლად; ახლა პრანჭვას ნუ კი მოჰყვები“.—
ყაფლანც მორჩილი სატრფოთა მათ დაიღიღინებს
გულის საკუდავად და თან-და-თან ყელს მოიღერებს.—
ვის არ გსმენიათ მის ღმობით თქმა, რომ მყის სევდები,
ჰკეკლუცნო ქალნო, არ აგშლიათ გულად მკუდრები?
კილოს და კილოს კორკში ამოდ დაარაკრაკებს,
და მას ნიავი არე-მარეს შეამუსიკებს.

უეცრად მარჯუნივ დავინახე თეთრ-კაბიანი,
მათ შორის მდგომი, ვინ მიმჰკადა მჰსწრაფლად ცნობანი,—
არ ვიცი ამ დროს სად აღვიგზნე უფროს ცეცხლისა;
სად არს გაბედვა, სად არს ძალი გრილის გულისა?
ვნახე სადღაცა ქალთ კრებაში, როდისღაც ერთი
მას აქედ თვალი ვეღარ მოვჰკარ და ახლა ერთი
ჰსდგას აქა მჭუაზრად, ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა;
ველი უღელლობს დამფანტველი მსწრაფლ გონებისა!

თვალი შემასწრო მან ამ დროს მე და შემომღინა;
ამან გამამხნო — და გულს-მგერით წარვჰსდეგი წინა
და ასე ვუთხარ: „ნეტარ რომე მეღირსა კუალად
სანატრი ჩემთჳს ნახვა თქუენი აწ მხიარულად“.
„გმადლობთ მითხრა მან“ რომ თქუენ მაინც გახსოვართ კიდევ;
ახლა მოდაა; ვინც ვის იცნობს ივიწყებს ისევ“.
„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები
ვერ მამიშლიან თქუენსა ხსოვნას და ვერც დროები“.

ამა სიტყუაზედ ვარდი ღაწვთზედ მყის აეფურცლა,
ამ დროს ნიავმანც თეთრი კაბა მიმოუქროლა,
და—ბუდეშური მის ფეხები ლამაზად მოჩნდა,

სასწავლებლის სარჩენად ყოფილა 1884 წელში დანიშნული 5287 და 50 კაპ.; სასწავლებლის სამმართველოს დაუხარჯავს ამ წელში 6630 მან. და $71^{2}/_{3}$ კაპ.; ამ გვარად სასწავლებელს გასულს წელს დაუხარჯავს 1343 მან. და $21^{2}/_{3}$ კაპ. მეტი (6630 მან. $71^{2}/_{3}$ კაპ.—5287 მან. 50 კაპ. - 1343 მან, $21^{2}/_{3}$ კაპ). ეს 1343 მან. და $21^{2}/_{3}$ კაპ. ედებოდა სამღვდელოებას ვალად, რაც კიდეც გამოსცხადებია XX კრებას, რომელსაც ამის გამო სამმართველოსთვის უნდობლობა გამოუცხადებია. წლის ბოლოს ეს სამმართველოსაგან მეტი ნახარჯი სამღვდელოებას არ გამოართმევია, რადგან იმას შემთხვევითი წყაროები ამოსჩენია ამ წელში, სახელდობრ: საერო ყმაწვილებისაგან შეკრებილი ფული და ის ფული, რომელიც წინა წლებისა ყოფილა სამღვდელოებაზედ ვალად დარჩენილი. თუ სამღვდელოებას ეს შემთხვევითი შემოსავალი ფული არ შესწრებოდა, მაშინ „სმეტის“ გარეშე დახარჯული 1343 მან. და $21^{2}/_{3}$ კაპ. აუცილებლად ვალად დაედებოდა მას, მაგრამ სამმართველომ ძალით, თუ ნებით სულ გამოართვა სამღვდელოებას წლიური შესატანი ფული და წინა წლებიდამაც დანარჩენი სამღვდელოებაზედ. ეს „სმეტის“ გარეშე შემოსული ფული ყოფილა 4508 მან. და $2^{2}/_{3}$ კაპ. (9795 მ. $52^{2}/_{3}$ კაპ.—5287 მ. 50 კ. - 4508 მ. $2^{2}/_{3}$ კაპ.), რომელსაც დაუფარავს სამმართველოსაგან „სმეტის“ გარეშე დახახარჯი 1343 მ. $21^{2}/_{3}$ კაპ. და კიდევაც გადარჩენილა მისაგან 3164 მ. და 81 კაპ. (4508 მ. $2^{2}/_{3}$ კაპ.—1343 მან. $21^{2}/_{3}$ კაპ. = 3164 მ. 81 კაპ.). წლიური ხვედრის და დარჩენილების მოკრება სამმართველომ, როგორ მოახერხა, ხომ გვახსოვს: იმან ჯამაგირები იგდო ხელში და თუ პირველში სამმართველო სთხოვდა მღვდლებს ფულის შემოტანას, შარშან თითონ ჩვენ ვილებდით ფულს სამმართველოდან, რომელიც გვიანგარიშებდა ყველაფერს და დანარჩენს ფარებს გვაძლევდა. ჩვენს კაცს საქმე ეზარება და თუ სიმტით, გინა პროტოკოლით გააკეთებინე, დაგიმადლებს. XXI კრებასაც მისთვის შეუწირავს სამმართველოს მეთაურისათვის მადლობა და ეს მადლობა მით უფრო „გულითადი მადლობა“ უნდა ყოფილიყო, რომ, თუმცა სამმართველომ კარგა ბლომად დაუხარჯავს „სმეტის“ გარეშე, მაგრამ წინა მაგალითით შეშინებულს უფრო ფორმაზე დაწერილი ანგარიში მიუცია, ვინემ წინად აძლევდენ.

მღვდელი.

II

თქვენს პატივცემულ გაზეთის ერთ-ერთ ნომერში წავიკითხე პატარა შენიშვნა „მწყემსიდან“ გადმობეჭდილი იმ ფულის შესახებ, რომელიც იმერეთის სამღვდელოებამ იმერ. ეპისკ. გაბრიელის თაოსნობით ქუთაისში სასულიერო სემინარიის დასაარსებლად გადასდო თავიანთ ხვედრის ჯამაგირიდგან და ახლა ამ აზრის აუსრულებლობის გამო, როგორც ვტყობილობთ, მღვდლების ჯამაგირისაგან შეკრებილი ფული 50,000 მანათი მღვდლებსავე უნდა დაუბრუნდეს. ამიტომაც გთხოვთ, ბ. რედაქტორო, ნება მომცეთ ორიოდე სიტყვა თქვენივე გაზეთის შემწეობით მოვახსენო იმერ. საეპარქიო მღვდლებს. ის განზრახვა, რომელიც იმერეთის ეპისკოპოზს ჰქონდა სახეში, ე. ი. ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსება და ამითი სამღვდელოების ჭკუა-გონებით განვითარება და აღწევა, ყველა სასულიერო და საერო პირმა კარგად იცოდა ჩვენს მხარეში. ამიტომაც თვითეულმა სამღვდელოთაგანმა თანხმობა განაცხადა ეპისკოპოზის გაბრიელის წინადადებაზედ ამის შესახებ და ეს რამოდენიმე წელიწადია მას აქეთ, რაც ყოველ მღვდლის ხვედრი ჯამაგირისაგან ფული გროვდება და შეგროვილა კიდეც 50,000 მან., მაგრამ საუბედუროდ ეს დიდი საგანი დაუცხრომელი მოღვაწისა მისგან დამოუკიდებელი მიზეზით აღსრულებაში ვერ მოვიდა, რაისა გამოც ზემოხსენებული 50,000 მან. ისევ სამღვდელოებას უნდა დაუბრუნდეს. თუმცა ჩვენი სამღვდელოება ძალიან ღარიბია და მისთვის ფულის დაბრუნება ძლიერ საჭიროა, მაგრამ, იმედია, ის კეთილ-საზოგადო წადილი, რომლისათვისაც მათ აქამდინ თავიანთი უკანასკნელი გროში არ დაიბრუნეს, პიროვნულ ინტერესებს დასძლევს და 50,000 მან., გადადებული სემინარიისთვის, ისევ საზოგადო კეთილ-საქმისათვის მოიხმარება. ამისთანა საქმეები ჩვენში ბევრია და მათი ჩამოთვლა სამღვდელოებისათვის საჭირო არ არის, რადგან თვითონვე იციან, მაგრამ, სხვათა შორის მე მათ ვუჩვენებ ერთ მოსაზრებას: აგერ ამ წლის სექტემბერში უნდა ვიდღესასწაულოთ დაუცხრომელი მოღვაწის იმერ. ეპისკოპოზის გაბრიელის 25 წლის სამსახურის იუბილეი. რასაკვირველია, სამღვდელოება რიგიანად დააფასებს და გადაუხდის მის ამდენი ხნის უმანკო შრომას საზოგადო ასპარეზზედ; ამიტომაც ურიგო არ იქმნება, რომ სამღვდელოება იმ 50,000 მან. გაბრიელ ეპისკოპოზის იუბილეის დღესასწაულის გამო თანხად დასდებდეს და ამის სარგებლით რამოდენიმე ყმაწვილი სასწავლებლებში აღიზრდებოდეს, ან და, როგორც თბილისშია, ისე ამ ფულის საშუალებით ქუთაისში გახსნიდენ სასულიერო ქალების სასწავლებელს, რომელსაც, რასაკვირველია, სხვა-და-სხვა წყაროებიდგან შემწეობას აღმოუჩენენ და ის ფულიც, რომელსაც იმერეთის სამღვდელოება სწირავს თბილისის საეპარქიო საქალებო სკოლას, მაშინ ამ ქუთაისის სკოლას შესწირავენ. ამითი იმერეთის სამღვდელოება შემდეგისათვის მადლობას დაიმსახურებს და კეთილი წადილი ცოტათი მაინც აღსრულდება.

ქ. ფოთი
აპრილის 23-ს.

# ტელეგრამები

საკუთარის კორესპონდენტისაგან

მაისის 31.

**თელავი.** დროებით მეოფნი იმერნი ერთხმად გთხოვენ თქვენ გამოუცხადოთ იმერეთის თავად-აზნაურობას ჩვენი ღრმა თანაგრძნობა ყოვლად პატივცემული დიმიტრი ივანის-ძე ყიფიანის გუბერნიის მარშლად ამორჩევისათვის.

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

მაისის 31-ს.

**ვილნო.** გუშინ დილით ქ. გროდნოში გაჩნდა ცეცხლი; მთელი დღედამე იყო გაძლიერებული და დაიწვა სამი მეოთხედი ქალაქისა; უკეთესი ქუჩები სულ ერთიანად დაიწვნენ: ზარალი ძალიან დიდია.

**პორტ-საიდი.** სუეზის არხში შეტაკებულა ორი გემი; ერთი ამათგანი დაუძირავს, რის გამო გემები ვეღარ ივლიან ამ არხში ცოტა-ხნის განმავლობაში.

**ლონდონი.** სამინისტროს კრიზისი ჯერ არ გათავებულა. გაზ. „Times“ ამბობს, რომ დედოფალს გადაწყვეტით არ შეუწყნარებია თხოვნა კაბინეთისა სამსახურიდგან გასვლის შესახებ. კონსერვატორები ამტკიცებენ, რომ ახალი კაბინეტის შედგენა

რომელთ სიამით ცნობა ჩემი მიმქცევდეს
თავსა;
ამ დროს მთოვარემც შუქს მის სალი
აღუგზნობინა,
რომელმან ჩემს გულს სანდომობით შუქნა
მოჰფინა;
მაგრამ სხვა მუნით მიიქცევდა სატრფოსა ქალსა,
რომელი მეისვე მიეფარა ნათელი-თვალსა!

ძიავ! ეს ლექსები დიდი ხანია დაწერილი მქონდა, მაგრამ ფოჩტას ვერ ვანდე კიდევ, რა ვიცი როგორ მოახდარიყო, იქნება დაკარგული იყო, ძ მერმე: 3.

„არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან“.

სხვებრ, გთხოვთ თქვენის წიგნით მასიამოვნოთ რაიმე; იგი ჩემთვს ძვირფასია. მშვიდობით! ღმერთმა ინებოს, რომ კვალად მამულში გიხილოთ.

თქვენი უმორჩილესი ნ. ბარათაშვილი.

II

საყვარელო ძმაო, გრიგოლ! სიზარმაცეში ანუ უნდომობაში ნუ ჩამომართმევ ამდენს ხანს წიგნის მოუწერლობას.—დრო არა მქონდა. შენ გაიცინებ, რასაკვირველია, იტყვი შენ, ჰიანჭველავ, რა საქმე გაქვსო. კიდეც ამისთვის არა მცალიან, რომ ჰიანჭველა ვარ; ყოველთვს ჩემზედ მეტი ძ დიდი უნდა ავიკიდო.—ესეც კი არის მიზეზი, რომ რა მოგწერო? დედაკაცები ისევ ისინი, ჩვენი ყმაწვილები ძ ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაჭერად წამოვიდენ. ქალაქი მე დამრჩა. მოუსვი ბიჭო! ამისთანა ფართო ოკეანე არც ერთს ხომალდს არ შეხვედრია.

ვიცი გეწყინება, ქ. უ—ის ცოლი ჭკუაზე შეჰსცდა, საწყალი! ტირილი მოგივიდოდა ამის ნახვაზედ. მგონია დიდხანს ვერ იცოცხლოს.

ვიცი გიამება, კ. დავენიშნეთ რ. ე—ზედ. რუსულად არის ნათქვამი (იქნება ქართულადაც იყოს ძ მე კი არ ვიცი) суженнаго конемъ не объѣдишь. ქორწილი საპეტრეპავლობოდ გვექნება. იქნება არცკი იცოდე, როდის არის ეს დღე.—ექვს კვირას უკან, то-есть: 29 іюня.

ზ—იას ძ გ—ის კარგი საქორწილო გამოეგზავნათ. ზ—ია იწერება, რომ გ—ლმა სულ ბლუჯეულად იცისო.—კ—მ შემოგითვალა, ახლა შენ იციო, ეგეც დიდ-კაცობა, ესეც შემთხვევა გამოდგომისაო, თუმცა კი სულ ერთია, თუნდ შენსა ჯიბეში ძ თუნდ ჩემს ჯიბეშიო.—მე კი ეს ვიცი, რომ ე—ანთ რძალთან არა დაგვეკარგება-რა, კარგს ქიზგას გვაჩუქებენ.—მაინც საჭიროა.—ორმოც წელიწადს იქით ცოლი აღარ ვარგა.

ეს წიგნები სულთანს გამოეგზავნა შენთან. რასაკვირველია რიცხვზედ შეატყობ, რომ დიდი ხნისაა. ამაში კი ჩემი უზრუნველობაა მიზეზი, მაგრამ უფრო გულ-მავიწყობა; ვერა დროს ვერ დავეჩვიე, რომ საშაბათობით მოდიოდა შენთან ფოჩტა.

ეგ ბატონი ქართველთ სარდლები რომ წამობძანდენ, უაფლან მაგათზედ იცინის; ასე ამბობს სულ ჩამომავლობით ჰირვეულნი არიანო.

ახალი ამბავი ანუ ჰორი ხომ გიყვარს: ამ ხელად ეს არის, რომ ნ. ალ—ნა ოდესაში მიდის 9-ს ივნისს. შენ მანდ გაჯავრდი.

სხვებრ ვეცდები, რომ საკუთაოდ კარგი გატენილი წიგნი გამოგიგზავნო.

შენი მარად ნ. ბარათაშვილი.

წელსა 1844.
მაისის 23-სა.
ქ. ტფილისით.

ფ—მ ძ მ—მ მოგიკითხეს; ამათ შენი ხანობა არად ეპიტნავებათ; გამდიდრდი თუ არაო? ესენი ამას მკითხვენ.—შენ მაგივრად მე ვეტყვი, ვაჲ შენს მტერსა-მეთქი.

მიენდობა ნოვსკოტს, რომელიც წინამძღოლია კონსერვატორების ოპოზიციისა საზოგადოებათა პალატაში.

## ბირჟა

### პეტერბურგი მაისის 31.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— — | $24^{5}/_{16}$, $24^{1}/_{2}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— — | $207^{7}/_{8}$, $208^{3}/_{4}$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — — | $256^{3}/_{8}$, $257^{1}/_{2}$ |
| პოლუიმპერიალები — | 8 მ. 7 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები — | 8 მ. 6 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი — | 1 მ. 28 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— — | 6 და $6^{3}/_{4}$% |
| 5% ბილეთები სახემწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — | $99^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა — | 97 მ. 87 კ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა — | $97^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| მეოთხე გამოც. — — | $97^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| მეხუთე გამოც. — — | $97^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| 5% ალმას. სესხ. 100 და 1000. — — — | 95 მ. 12 კ. გაყ. |
| მეორე გამოც. — — | $94^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოც. — — | $94^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — | $224^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— | $202^{1}/_{2}$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — — | $169^{3}/_{4}$ მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — | 27 წ. 89 მ. გამყ. |
| | 43 წ. $88^{3}/_{4}$ მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 91 მ. გამყ. |
| | 43 წ. 90 მ. გამყ. |

## ცნობანი

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი** ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადაგოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაგინოვისა**, ორშაბათობით და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა**, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**სამკურნალოში**, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დააარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ სნებიო, სქალებო და ბავშვთ ავადმყოფობის; საწამლებლად ბენკლევსკი—10—11 საათამდე —სახირურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 თიბათვიდამ 15 თიბათვემდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |

**იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^{1}/_{2}$ |

**ჯვარის-მამის პური:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^{1}/_{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^{1}/_{2}$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |

**მროხის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა— | 1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი— — — | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი— | —1 | გ. | 9 კ. |

**ღორის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა— | 1 | გ. | |
| მეორისა — | —1 — | გ. | |

### რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის
**თბილისიდამ ბათუმისაკენ**
8 საათზე და 35 წამ. დილით.

**ბათუმიდამ თბილისში შემოდის**
10 საათ. 25 წამ. ღამით.

**თბილისიდამ ბაქოსკენ**
10 საათზე 55 წამზე ღამით.

**ბაქოდამ თბილისში შემოდის**
8 საათ. დილით.

**თბილისიდამ სურამისაკენ**
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

**სურამიდამ თბილისში შემოდის**
8 საათზედ 24 წამ. დილით.


## განცხადებანი

ნაფიცი ვექილი

## ა. გ. ჭყონია

გადავიდა სადგომად ბაზრის ქუჩაში, თამამშევის სახლში № 11. (1—1)

### ევროპის ბალში



სამშაბათს, ივნისის 4-ს 1885წ.

პირველ დიდს

**ხელოვნურ-ოპტიკურს წარმოდგენას**

გამართავს გამოჩენილი ფიზიკოსი ვ. დერინგი

მოძრავ უდიდესს დაბუნდულს სურათებს უჩვენებს

**სიდიდით 15 არშინიანებს.**

დასაწყისი კონცერტისა: 7-ს საათზედ; წარმოდგენისა 9 საათზედ.

იმ დღეს, როდესაც ჩემი წარმოდგენები გაიმართება ევროპის ბალში მასკარადის ბალები არ იქნება.

ვისაც ჩემი აპარატების ნახვის სურვილი აქვთ — უფასოდ შეუძლიანთ ნახონ.

დაწვრილებითი ცნობანი აფიშაში იქნება; ივნისის 7-ს მეორე წარმოდგენა იქნება. (2—1)

### ინგლისური რკინის კროვატები



ერთის საწოლი 6 მანათიდგან, და ორის საწოლი 10 მანათიდგან; მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანათამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, კოვზები, შეიგიდის დანები ჩანგლებით, სამართებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქნები, სუფრაკნიკი, საწყაო, რიუმკები, საქაშური, თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფსკეები, პრობკის ამოსაღები, პრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ვაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიდები, კაპსიულები, ხავარგები, ნიჩბები, ვატერპრუფი, საბნები, ჩუღქები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კაძევეტები, კიპულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები, ბომაზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 9, 3, 91 და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—27)

განსამარტებლად იმ ბაქის წესისა, რომელიც დადებულ იქმნა ქალაქის ხიდებზე გავლისათვის

### თბილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ეს ბაჟი, ქალაქის სასარგებლოდ დანიშნული, გადახდებათ მხოლოდ დაჭერილ ფაეტონებსა და დროშკებს (შიგ მჯდომთ), და არა დაუჭერელთ—კუჩრებს. (3—3)

### საგლობუსო  კალმები



ტურნერისა და ამხ.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზედაც. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია—არწრუნისეულს ქარვასლაში. იქვეა თვით ფაბრიკიდამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის“, 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კანვერტები, ყარანდაშები, რვეულები, კომპასები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაქდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შჩოტკები, პირსახოცები, ჰოჭინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რევოლვერები, სასტვენლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თეფშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენა“ (pen of exhibition, plume de l'exposition) 55 კაპეიკად 144 ცალი, ანუ 5 კაპეიკად თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება არწრუნისეულის ქარვასლის №№ 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. (100—19)


Доз. ценз. Тифлисъ, 31 Мая 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.